

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„განსხვავებული“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი

2025

შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება „განსხვავებული“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-16
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	8
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	8
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	9
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები. 12	
შენიშვნა 5. ამონაგები	13
შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები.....	13
შენიშვნა 7. სხვა ხარჯები.....	13
შენიშვნა 8. ფინანსური ხრჯები	13
შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	13
შენიშვნა 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14
შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	14
შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
შენიშვნა 14. საგადასახადო ვალდებულებები	15
შენიშვნა 15. გადასახდელი სესხები	15
შენიშვნა 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	15
შენიშვნა 17. დაკავშირებული მხარეთა ორპერაციები	15
შენიშვნა 18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	16

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „განსხვავებული“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „განსხვავებული“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა მეწარმის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- მეწარმის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- მეწარმის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის მეწარმის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მეწარმის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- მეწარმის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

მეწარმის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ **2025 წლის 26 სექტემბერი**.

ხელმძღვანელობის სახელით:


დირექტორი: **მიტო ფსუტური**

2025 წლის 26 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „განსხვავებული“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31,12,2024	31,12,2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	32 910	37 879
არამატერიალური აქტივები		-	-
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		32 910	37 879
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	10	807 854	846 516
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	117 306	76 195
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	56 564	73 156
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
სულ მიმდინარე აქტივები		981 725	995 867
სულ აქტივები:		1 014 634	1 033 747
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		210 334	113 039
რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		210 334	113 039
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	15	539 776	717 411
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		539 776	717 411
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	246 549	181 496
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები	14	17 975	21 801
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		264 524	203 297
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 014 634	1 033 747

ხელმძღვანელობის სახელით:

მიტო ფსუტური
დირექტორი

2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

სოფიო წასარეია
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „განსხვავებული“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31,12,2024	31,12,2023
ამონაგები	5	4500825	4286991
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3 300 193)	(3 188 673)
საწყისი ნაშტი		846 516	796 023
შემენილი ნედლეული და მასალები		(3 338 855)	(3 138 180)
საბოლოო ნაშტი		(807 854)	(846 516)
საოპერაციო მოგება		1 200 632	1 098 318
სხვა შემოსავლები	6	718	584
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(390 409)	(433 853)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(7 410)	(9 158)
კომუნალური ხარჯები		(5 249)	(2 499)
სხვა ხარჯები	7	(121 171)	(319 471)
ფინანსური ხარჯები	8	(89 945)	(79 113)
მოგება დაბეგვრამდე		587 165	254 808
მოგების გადასახადი		(74 081)	(78 947)
საანგარიშო წლის მოგება		513 085	175 861

ხელმძღვანელობის სახელით:

მიტო ფსუტური
დირექტორი

2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

სოფიო ნასარეია
ბუღალტერი

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „განსხვავებული“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.დეკ.22	-	384 547	384 547
გაცემული დივიდენდები		(447 368)	(447 368)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		175 861	175 861
კაპიტალის ზრდა/კლება			-
31.დეკ.23	-	113 039	113 039
გაცემული დივიდენდები		(415 789)	(415 789)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		513 085	513 085
კაპიტალის ზრდა/კლება			-
31.დეკ.24	-	210 334	210 334

ხელმძღვანელობის სახელით:

მიტო ფსუტური
დირექტორი

2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

სოფიო ნასარია
ბუღალტერი

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „განსხვავებული“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	5198094	4980449
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(3 989 348)	(4 306 310)
გადახდილი გადასახადები	(561 181)	(568 500)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	647565	105639
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(395 000)	(425 000)
მიღებული სესხები	370000	850000
გადახდილი სესხები	(547 635)	(429 550)
გადახდილი პროცენტები	(91 521)	(74 930)
მიღებული პროცენტები	0	0
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	0	(1 405)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	0	
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(664 156)	(80 885)
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	(16 591)	24754
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	73156	48402
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	56564	73156

ხელმძღვანელობის სახელით:

მიტო ფსუტური
დირექტორი

2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

სოფიო ნასარეია
ბუღალტერი

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ განსხვავებული ” ს/კ 400279088, შემდგომში როგორც „საზოგადოება“, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებელი ორგანოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო ქ. თბილისი ნაძალადევის რაიონი ალექსანდრე ბარამიძის ქუჩა კორპუსი N5 ბინა N17. ხოლო ფაქტობრივი საქართველო მცხეთის რაიონი დაბა ზაპესი 72,12,01,316. საზოგადოების დირექტორი და დამფუძნებელია მიტო ფსუტური 100% -ის.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა: საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ჭურჭლით, თიხის ჭურჭლით, ფაიფურით და სამზარეულოს საკუთნოებით, საბითუმო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით და საკუთნოებით.

საზოგადოება ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საზოგადოების სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებას ასევე წარმოდგენილია წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია მეწარმისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საზოგადოების პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა. არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ საზოგადოების ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი საზოგადოების ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

მიტო ფსუტური
დირექტორი

ხოფიო ნასარეია
ბუღალტერი

2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შენიშვნა 3. საადრიცხო პოლიტიკა ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ხელმძღვანელობის სახელით:

მიტო ფსუტური
დირექტორი

2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

სოფიო ნახარია
ბუღალტერი

ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საზოგადოება ცვეთის გასაანგარიშებლად იყენებს შემცირებადი ნაშთის მეთოდს

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სახვა ძირითადი საშუალებები	15%-20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

მარაგი


მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ხელმძღვანელობის სახელით:

მიტო ფსუტური
დირექტორი



სოფიო ნასარია
ბუღალტერი



2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ხელმძღვანელობის სახელით:

მიტო ფსუტური
დირექტორი

2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

სოფიო ნასარკია
ბუღალტერი

ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების და საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ხელმძღვანელობის სახელით:

მიტო ფსუტური
დირექტორი

2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

სოფიო ნასარია
ბუღალტერი

შენიშვნა 5. ამონაგები	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	4500825	4286991
ჯამი	4500825	4286991

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები	31.12.2024	31.12.2023
სხვა შემოსავალი	718	584
ჯამი	718	584

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები	31.12.2024	31.12.2023
საპენსიო დანარიცხების ხარჯი	7808	8677
საიჯარო ქირა	60038	53528
ბანკის საკომისიო	41099	37387
საკასო აპარატის ხარჯი	203	16
კომუნიკაციის ხარჯები	1709	2161
ბუღალტრული მომსახურება	8136	8509
საგადასახადო ხარჯი (ქონების მიწისა და წლიური საშემოსავლო გადასახდი)	532	532
სხვა საერთო ხარჯი	1645	208662
ჯამი	121171	319471

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები	31.12.2024	31.12.2023
გადახდილი პროცენტები	(91 451)	(78 930)
დადებითი საკურსო სხვაობის შემოსავალი	1907	71
უარყოფითი საკურსო სხვაობის ხარჯი	(401)	(254)
ჯამი	(89 945)	(79 113)

შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	31.12.2024	შემოსვლა	გასვლა	31.12.2023	შემოსვლა	გასვლა	31.12.2022
მანქანა დანადგარები	11771	0	2953	14724	0	3681	18405
ოფისის აღჭურვილობა	8860	538	2172	10494	618	2673	12549
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4271	330	985	4926	0	1232	6158
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	8008	1572	1300	7735	697	1572	8610
სულ ძირითადი საშუალებები	32910	2441	7410	37879	1315	9158	45722

ხელმძღვანელობის სახელით:

მიტო ფსუტური
დირექტორი

2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

სოფიო ნასარეია
ბუღალტერი

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო

(ა) გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და

სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება,

რისი ვალ-დებულებაც საზოგადოებამ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ აქტივების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31.12.2024	31.12.2023
საქონელი	782517	845180
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	25337	1336
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	807 854	846 516
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	3300198	3188673

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი(MIDL) მეთოდით.

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	115038	69558
მოთხოვნები ბანკებიდან	0	1916
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2268	4722
ჯამი	117 306	76 195

შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	11 408	33 248
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	45 157	39 907
ჯამი	56 564	73 156

ხელმძღვანელობის სახელით:

მიტო ფსუტური
დირექტორი

2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

სოფიო ნასარეთა
ბუღალტერი

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით.
საზოგადოების ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
მოწო.და მომსა.წარმოქმნილი ვალდებულებები	244 038	174 369
მიღებული ავანსები	-	1 080
გადასახდელი პროცენტები	2 512	6 048
ჯამი	246549	181496

შენიშვნა 14. საგადასახადო ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
ხაზინის ერთიანი საბიუჯეტო გადასახადი	17975	21801
ჯამი	17975	21801

შენიშვნა 15. გადასახდელი სესხები	31.12.2024	31.12.2023
სესხი N 7997912	7 802	89 610
სესხი N 9052479	192 816	339 412
სესხი N 9234372	36 382	138 389
სესხი N 9910588	53 596	150 000
სესხი N 10173983	56 033	
სესხი N 10820854	193 146	
ჯამი	539776	717411

შენიშვნა 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ საზოგადოების მიერ გაცემულია 415790 ლარის დივიდენდი.

შენიშვნა 17. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

ხელმძღვანელობის სახელით:

მიტო ფსუტური
დირექტორი

2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

სოფიო ნასარეია
ბუღალტერი

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

	2024 წ	2023 წ
უმაღლესი რანგის ხელ-მძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	82015	108291

შენიშვნა 18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 26 სექტემბერი.

ხელმძღვანელობის სახელით:

მიტო ფსუტური
დირექტორი

2025 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

სოფიო ნასარეია
ბუღალტერი